



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლითონმცოდნეობა

ლითონმცოდნეობა, გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ლითონების აგებულებას და ათვისებას. ადგენს კავშირს ლითონებში ქიმიურ შედგენილობას, აგებულებასა და მათ თვისებებს შორის. ასევე შეისწავლის სტრუქტურისა და თვისებების კანონზომიერებებს გარე ზემოქმედების პირობებში.

ლ., როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX ს-ში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი XX ს. 40-იანი წლებიდან ფ. თავაძის (1912–89) ინიციატივით სპი-სა (ახლანდ. სტუ) და შემდეგ საქართვე. მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინტ-ში (ახლანდ. სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი), რ-ის დირექტორი 1951-იდან თავად ფ. თავაძე იყო, დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს კვლევები ლ-ის მიმართულებით. აქვე შეიქმნა ლ-ის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

ლიტ.: შ უ რ ა ძ ე ო., ლითონური მასალების მექანიკური თვისებების მახასიათებლები და მათი განსაზღვრის მეთოდები, თბ., 2014; მ ი ს ი ვ ე , ლითონების მასალების განმტკიცების ზოგადი საწყისები, თბ., 2020; R a g h a v a n V., Physical Metallurgy: Principles and Practice, Learning, 2015.
